<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსის 51² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51². მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ან/და გადაადგილება

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ან/და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 750 ლარის ოდენობით.“.

2. კოდექსის 58² მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან, მილსადენიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ან/და მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 000 ლარის ოდენობით.“.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 181⁶ მუხლი:

„მუხლი 181⁶. თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობის და თევზჭერის ელექტრო იარაღის უკანონო ბრუნვა

1. სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაცემა ან გასხვისება - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელადდებული პირის მიერ ამავე მუხლის პირველი ნაწილებით განსაზღვრული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით.

3. თევზჭერის ელექტრო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, ტარება, გადატანა-გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება - გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 6000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით.“.

4. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^1–44^3, 44^5, 44^7–44^{11}, 45-ე–46^4, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^1, 55^3, 55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლით (გარდა ამ კოდექსის 79^4 მუხლის მე-2–მე-5 ნაწილებისა), 79^5–მე-80, 82^1–82^5, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებით, 116^4 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^5 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 116^7 მუხლის მე-2 ნაწილით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^6, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე და 150-ე მუხლებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 153-ე და 153^1 მუხლებით, 153^3 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 153^5 მუხლით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^6 მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, 155^7–156-ე და 157^1–158^1 მუხლებით, 158^5 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე, 166^1 და 170^1 მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^2–171^4 მუხლებით, 171^5 მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6, მე-8 და მე-9–მე-18 ნაწილებით, 172-ე, 172^4–172^6, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{14}, 173^{15} და 174^1 მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1 და 175^2 მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^8, 177^9, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179^1–179^3, 181^6, 183-ე, 187-ე, 187^1, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6, 197^1 და 197^2 მუხლებით, 197^3 მუხლის მე-2 ნაწილითა და 199^1 მუხლით.“.

5. კოდექსის 222-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, 51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე და 57^1 მუხლებით, 57^5 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილით (გადამუშავების ნაწილში) და მე-3 და მე-4 ნაწილებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, 59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 79^5 მუხლით, 79^6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79^7, 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლით (გარდა 86-ე მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილებისა), 86^2, 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1, 119^2 და 128^2–128^6 მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 181^6 მუხლით

გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

2. ამ კოდექსის 58^3, 59-ე, 64-ე და 64^1 მუხლებით, 66-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 69^6 მუხლით, 76-ე მუხლის პირველი ნაწილით (მხოლოდ სახელმწიფო ტყეში ცეცხლის დანთების მოთხოვნათა დარღვევის ნაწილში), 82^1 მუხლით, 84-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 84^1 მუხლით, 85^4 მუხლით, 86-ე მუხლის პირველი, მე-2–მე-9, მე-13, მე-17 და მე-20 ნაწილებით, 86^2, 87^2, 87^3, 89^3, 119^2, 128^2 და 128^6 მუხლებითა და 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, თუ ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს ან თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის თავის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს და ამას ხელმოწერით ადასტურებს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელი უფლებამოსილია ადგილზე განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და სამართალდამრღვევს ადგილზევე დაადოს აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის გათვალისწინებული როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი.“.

6. 239-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51^2, 51^4–53^2, 54-ე, 54^1, 55^1, 55^4, 56-ე და 57^1 მუხლებით, 57^5 მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილით (გადამუშავების ნაწილში) და მე-3 და მე-4 ნაწილებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1–59-ე, 59^3, მე-60, 60^3, 61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^4–69^6, 71-ე, 71^1, 72^1–77-ე, 78-ე და 79^1–79^3 მუხლებით, 79^4 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 79^5 მუხლით, 79^6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79^7, 79^8 და 82^1–82^4 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 86^2, 87^1–87^3 და 89-ე–89^3 მუხლებით, 91^3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103^1, 104-ე, 119^2 და 128^2–128^6 მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 181^6 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.“;

ბ) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 42^{10}, 45-ე, 45^1, 58^3, 86^1, 100^2, 107-ე, 107^5, 114^1, 114^2, 115^1, 116-ე–116^8 და 118-ე–123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^1 მუხლის პირველი–2^2 და მე-6–მე-7 ნაწილებითა და 134-ე, 135^2–135^4, 139^5, 150-ე, 152^7, 152^8, 153^3, 153^6, 166-ე, 166^2, 167-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^1, 174^{15}–174^{18}, 175^2, 176^1, 176^3, 177-ე, 177^1, 177^{15}, 180-ე–181^5, 182-ე-183-ე, 190-ე, 190^2, 191-ე და 199^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^1, 166-ე და 197^2 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 2 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**